ვებგვერდი, 06/05/2014
სარეგისტრაციო კოდი
010040000.10.003.017955

# საქართველოს მთავრობის
# დადგენილება №335
# 2014 წლის 6 მაისი ქ. თბილისი

# საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის განხორციელების 2014-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

1. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (2013 წლის 20 სექტემბერი, №1154-Iს) მე-2 მუხლის $1^1$ პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის №226 დადგენილების გათვალისწინებით და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საზღვრის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების, ქვეყნის სასაზღვრო უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესების, ქვეყანასა და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების, ევროპასთან მჭიდრო ინტეგრაციისა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების ხელშეწყობის მიზნით, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის განხორციელების 2014-2018 წლების სამოქმედო გეგმა“.

2. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ყოველწლიური ანგარიში წარედგინოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს, არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მარტისა.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი*

## საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის განხორციელების 2014-201 8 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა)

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია და დემარკაცია

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| სახმელეთო საზღვრის დელიმიტაცია: | | | | | |
| 1.1 სახელმწიფო საზღვრის შეუთანხმებელი მონაკვეთების შეთანხმება ექსპერტებისა და კომისიების დონეზე, მათ შორის:<br>- რუსეთის ფედერაციასთან,<br><br>- აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან,<br>- სომხეთის რესპუბლიკასთან | დეოკუპაციის შემდეგ<br><br>2014<br>2014 | დეოკუპაციის შემდეგ<br><br>2016<br>2016 | საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის, აგრეთვე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შავ ზღვაზე ტერიტორიული ზღვის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შელფის დელიმიტაციის სახელმწიფო კომისია (შემდგომში - სახელმწიფო კომისია) | | სახელმწიფო საზღვრის აღწერილობა შეთანხმებულია;<br><br>სახელმწიფო საზღვარი შეთანხმებულია რუკებზე |
| 1.2 დელიმიტაციის პროცესში სახელმწიფო საზღვრის რეჟიმთან და მიწით სარგებლობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, აგრეთვე, სახელმწიფო საზღვრის აღმნიშვნელი | პერიოდულად | პერიოდულად (დემარკაციამ-დე) | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო კომისია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, პასუხისმგებელი სამინისტროები და უწყებები | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | სასაზღვრო ზონისა და სასაზღვრო ზოლის აღმნიშვნელი დროებითი ნიშნები დაყენებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დროებითი ნიშნების დაყენება | | | | | |
| 1.3 დელიმიტაციის პროცესის უზრუნველყოფა კარტოგრაფიული მასალით და საჭირო რუკათწარმოებითი სამუშაოების ჩატარება | პერიოდულად | პერიოდულად (დემარკაციამ-დე) | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | სახელმწიფო ბიუჯეტი | კარტოგრაფიული მასალა დამზადებულია |
| 1.4 სახელმწიფო საზღვრის გაფორმების მიზნით მასალის მომზადება, შეთანხმება და შეთანხმების გაფორმება<br>- რუსეთის ფედერაციასთან,<br><br>- აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან,<br>- სომხეთის რესპუბლიკასთან | დეოკუპაციის შემდეგ<br><br>2015 წ.<br>2015 წ. | დეოკუპაციის შემდეგ<br><br>2017 წ.<br>2017 წ. | სახელმწიფო კომისია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | შეთანხმება გაფორმებულია (დელიმიტაცია დასრულებულია) |
| საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შავ ზღვაზე საზღვაო საზღვრის დელიმიტაცია (ტერიტორიული ზღვა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი) | | | | | |
| 1.5 შეთანხმების მიღწევა ექსპერტების და კომისიების დონეზე | დეოკუპაციის შემდეგ | დეოკუპაციის შემდეგ | სახელმწიფო კომისია | | სახელმწიფო საზღვარი შეთანხმებულია რუკებზე |
| 1.6 დელიმიტაციის პროცესის უზრუნველყოფა კარტოგრაფიული მასალით და საჭირო რუკათწარმოებითი სამუშაოების | დეოკუპაციის შემდეგ | დეოკუპაციის შემდეგ | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი | კარტოგრაფიული მასალა დამზადებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩატარება | | | | | |
| 1.7 სახელმწიფო საზღვრის გაფორმების მიზნით, მასალის მომზადება, შეთანხმება და შეთანხმების გაფორმება | დეოკუპაციის შემდეგ | დეოკუპაციის შემდეგ | სახელმწიფო კომისია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | საქართველოს საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | შეთანხმება გაფორმებულია – დელიმიტაცია დასრულებულია |
| საზღვრის დემარკაცია | | | | | |
| 1.8 სამოქმედო გეგმის, სამუშაო მეთოდოლოგიის შემუშავება და შეთანხმება:<br>- რუსეთის ფედერაციასთან<br>- აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან,<br>- სომხეთის რესპუბლიკასთან | დეოკუპაციისა და დელიმიტაცი-ის დასრულების შემდეგ<br>2017<br>2017 | დეოკუპაციისა და დელიმიტაცი-ის დასრულების შემდეგ<br>2019<br>2019 | სახელმწიფო კომისია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (სახელმწიფო ბიუჯეტი), საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროები | მეთოდოლოგია შეთანხმებულია |
| 1.9 სახელმწიფო საზღვრის აღმნიშვნელი ნიშნების ნიმუშების შექმნა, დამტკიცება, შეთანხმება მეზობელ სახელმწიფოსთან და მათი დამზადება (პერიოდულობის გათვალისწინებით):<br>- თურქეთის რესპუბლიკასთან,<br>- რუსეთის ფედერაციასთან,<br>- აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან,<br>- სომხეთის რესპუბლიკასთან | 2014<br>დეოკუპაციის შემდეგ<br>დელიმიტაცი-ის შემდეგ | 2015<br>დეოკუპაციის შემდეგ<br>დელიმიტაცი-ის შემდეგ | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | სახელმწიფო საზღვრის აღმნიშვნელი სასაზღვრო ნიშნები დამზადებულია |
| 1.10 საველე სამუშაო | | | სახელმწიფო კომისია, | სახელმწიფო | არსებული |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჯგუფების შექმნა, აღჭურვა და საველე სამუშაოების წარმოება:<br>- თურქეთის რესპუბლიკასთან<br>- რუსეთის ფედერაციასთან,<br><br>-აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან,<br>- სომხეთის რესპუბლიკასთან | 2015 წ.<br>დეოკუპაციის შემდეგ<br><br>დელიმიტაცი-ის შემდეგ | 2017 წ.<br>დეოკუპაციის შემდეგ<br><br>დელიმიტაცი-ის სემდეგ | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. | ბიუჯეტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | სასაზღვრო ნიშნები შეკეთებულია/ განახლებულია;<br><br>ახალი სასაზღვრო ნიშნები დაყენებულია |
| 1.11 სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის მასალების (ალბომების, კარტოგრაფიული და სხვა მასალების) მომზადება და შეთანხმების გაფორმება:<br>- რუსეთის ფედერაციასთან,<br><br>- აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან,<br>- სომხეთის რესპუბლიკასთან | დეოკუპაციის შემდეგ<br><br>დელიმიტაცი-ის შემდეგ | დეოკუპაციის შემდეგ<br><br>დელიმიტაცი-ის შემდეგ | სახელმწიფო კომისია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | სახელმწიფო ბიუჯეტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | შეთანხმება გაფორმებელია – სახელმწიფო საზღვარი დემარკირებულია |
| 1.12 სასაზღვრო ზონისა და ზოლის ფარგლების დადგენის შემდეგ მათი აღნიშვნა (მარკირება) შემუშავებული და დამტკიცებული ნიმუშების შესაბამისად | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | სასაზღვრო ზონისა და ზოლის ფარგლები დადგენილია და აღმნიშვნელი ნიშნები დაყენებულია |

საკანონმდებლო და ნორმატიული ჩარჩოები

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1 საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის შემუშავება | 2014 | 2015 | მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია | მიგრაციის სტრატეგიის განახლებული პროექტი შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |
| 2.2 ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება | 2014 | 2015 | ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორი-სი საკოორდინაციო საბჭო | სამოქმედო გეგმა შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |
| 2.3 არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შესახებ სამართლებრივი აქტების შემუშავება | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | შესაბამისი სამართლებრივი აქტები მიღებულია |
| 2.4 სამართლებრივი აქტების მომზადება ევროკავშირთან სავიზო დიალოგის ფაგლებში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით | 2014 | 2015 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი სამართლებრივი აქტები მიღებულია |
| 2.5 სახელმწიფო საზღვარზე თავშესაფრის მაძიებელთა საკითხებზე უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარება | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება დამტკიცებულია |
| 2.6 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებსა და სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს | 2014 | 2015 | სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე უწყებები | ერთობლივი მართვის ცენტრის სათათბირო ორგანო – საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით;<br><br>ერთობლივი მართვის ცენტრის საქმიანობის წესი შემუშავებული და დამტკიცებულია;<br><br>საბჭოს მუშაობის რეგლამენტი შემუშავებული და დამტკიცებულია;<br><br>ერთობლივი მართვის ცენტრის წარმომადგენელთა/ექსპერტთა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრის დებულების“ მე–7 მუხლის მე–2 პუნქტისა და მე–11 მუხლის იმპლემენტაცია | | | | მიერ ინფორმაციის დამუშავების, მონაწილე უწყებებისაგან ინფორმაციის მიღების, ასევე, მათთვის გადაცემისა და ინფორმაციის უსაფრთხოების წესი შემუშავებული და დამტკიცებულია |
| 2.7 საქართველოს სასაზღვრო საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების, სახელმძღვანელოებისა და ტექნოლოგიური სქემის შემუშავება | 2014 | 2015 | საქართველოს ფინანსთა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები | შესაბამისი სამართლებრივი აქტები შემუშავებული და დამტკიცებულია |
| 2.8 სამხედრო პროდუქციის ნუსხისა და სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტების შემუშავება | 2014 | 2014 ოქტომბერი | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი სამართლებრივი აქტები შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |
| 2.9 სახელმწიფო საზღვრის მახლობლად ტურისტულ მარშრუტებზე ტურისტული ჯგუფების გადაადგილების წესის შემუშავება | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოცემულია |
| 2.10 ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების ინიცირება | 2014 | 2017 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმები გაფორმებულია |
| 2.11 რეადმისიის მართვის | 2014 | 2017 | საქართველოს შინაგან საქმეთა | რეადმისიის შესახებ შეთანხმების |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ელექტრონული სისტემის გამოყენების არეალის გაფართოება | | | სამინისტრო; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | მონაწილე სახელმწიფოების პროგრამაში ჩართვა |
| 2.12 რეადმისიის ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით მოლაპარაკებების ინიცირება მესამე სახელმწიფოებთან | 2014 | 2018 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | რეადმისიის შესახებ შეთანხმებები გაფორმებულია |
| 2.13 საქართველოს კანონის „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ მე–3 თავის (სასაზღვრო რეჟიმი) 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასაზღვრო ზონისა და სასაზღვრო ზოლის ფარგლების დადგენა | 2014 | 2016 | სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე უწყებები | შესაბამისი სამართლებრივი აქტი შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |
| 2.14 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურს შორის ურთიერთობების გაღრმავება სასაზღვრო წარმომადგენელთა–სასაზღვრო კომისართა ინსტიტუტის დანერგვის გზით | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროები | შეთანხმება გაფორმებულია |
| 2.15 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურს შორის ურთიერთობების გაღრმავება სასაზღვრო წარმომადგენელთა–სასაზღვრო კომისართა ინსტიტუტის დანერგვის გზით | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროები | შეთანხმება გაფორმებულია |

## თანამშრომლობა

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შიდაუწყებრივი დონე | | | | | |
| 3.1 სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესის განსაზღვრა | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | შესაბამისი სამართლებრივი აქტი შემუშავებული და დამტკიცებულია |
| უწყებათაშორისი დონე | | | | | |
| 3.2 სავიზო და მიგრაციულ საკითხებზე მომუშავე უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის შემუშავება/დახვეწა | 2014 | 2015 | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა შექმნილია;<br><br>არალეგალ იმიგრანტთა გამოვლენის ელექტრონული პროგრამა დანერგილია |
| 3.3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის გაღრმავება | 2014 | 2018 | საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | | თანამშრომლობის გეგმები შემუშავებულია და დამტკიცებულია |
| 3.4 საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებთან თანამშრომლობის მიზნით, მუდმივმოქმედი საკონსულტაციო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საზღვრის მართვაში მონაწილე უწყებები | საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტებთან გამართულია შეხვედრები |
| 3.5 ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების გამცემ ორგანოთა და სსიპ - შემოსავლების სამსახურის ლიცენზიის, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიანი | 2014 | 2016 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ლიცენზიებისა და ნებართვების გამცემი შესაბამისი ორგანოები | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი სამართლებრივი აქტები შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა | | | | | |
| საერთაშორისო თანამშრომლობა | | | | | |
| მრავალმხრივი თანამშრომლობა | | | | | |
| 3.6 ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე ოპერატიული თანამშრომლობის მართვის ევროპულ სააგენტოსთან (FRONTEX) თანამშრომლობის გაღრმავება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, FRONTEX | სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელებულია |
| 3.7 საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით გამოვლენილი სამართალდარღვევები ს შესახებ საბაჟო სამართალაღსრულების ქსელ CEN-ზე ინფორმაციის განთავსება, სხვა ქვეყნების საბაჟო სამართალდარღვევები ს გაცნობა და ანალიზი | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | სამართალდარღვევები ს შესახებ შეგროვებული ინფორმაციები სისტემატიზირებულია და CEN და RILO-ს სამართალდარღვევები ს ქსელში გაშვებულია;<br><br>თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელებულია უცხოელი საბაჟო ექსპერტების მოწვევა და საბაჟო მოხელეთა მივლინება |
| ორმხრივი თანამშრომლობა | | | | | |
| 3.8 საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის პრინციპის საფუძველზე საბაჟო პროცედურების განხორციელება | 2014 | 2015 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | მონაცემთა გაცვლის ტექნიკური დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებები განხორციელებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.9 საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის პრინციპის საფუძველზე, საბაჟო პროცედურების განხორციელება | 2014 | 2015 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | მონაცემთა გაცვლის ტექნიკური დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებები განხორციელებულია |
| 3.10 საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის ინფორმაციის წინასწარ გაცვლის რეჟიმის ამოქმედება | 2014 | 2015 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | ორმხრივი ხელშეკრულება გაფორმებულია;<br><br>მონაცემთა გაცვლის ტექნიკური დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებები განხორციელებულია |
| 3.11 მეზობელი ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციის ინფორმირება საბაჟო საკითხების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შესული ცვლილების შესახებ | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმი შემუშავებულია |
| 3.12 სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება ფინეთის, პოლონეთის, ბელარუსის და სხვა ქვეყნების სასაზღვრო უწყებებთან | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები გაფორმებულია |
| 3.13 საქართველო-თურქეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით, მოლაპარაკების ინიცირება | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | შეთანხმება გაფორმებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.14 პარტნიორი სახელმწიფოების სასაზღვრო უწყებების ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებთან თანამშრომლობის განვითარება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | არსებული შეთანხმებების საფუძველზე განხორციელებულია შეხვედრები და უზრუნველყოფილია ინფორმაციის გაცვლა |
| 3.15 უცხო ქვეყნების საკონსულოების წარმომადგენლებსა და მეკავშირე ოფიცრებთან ურთიერთობის გაღრმავება. | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | განხორციელებულია შეხვედრები და უზრუნველყოფილია ინფორმაციის გაცვლა |
| 3.16 BOMS პროექტის რეალიზების მიზნით, ფინანსური სახსრების მოზიდვის ინიცირება სტრატეგიული პარტნიორების შესაბამისი პროგრამებიდან | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | გამოყოფილია ფინანსური დახმარება BOMS პროექტის პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში;<br><br>შეძენილია ინფრასტრუქტურული მომსახურება და აღჭურვილობა;<br><br>ჩატარებულია თანამდევი სწავლებები;<br><br>შესწავლილია ხარჯთეფექტურობა და შეფასებულია შედეგები |

## 4. მართვა და ორგანიზაცია

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| 4.1 ანგარიშების (მოხსენებების) სისტემის გაუმჯობესება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების წესისა და მექანიზმის შესახებ სამართლებრივი აქტი მომზადებულია |
| 4.2 საფრთხისა და რისკის ანალიზის საფუძველზე | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა | მოსამსახურეთა რიცხოვნობის გათვალისწინებით |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახმელეთო საზღვრის დაცვის და სანაპირო დაცვის დანაყოფების ფუნქციური მოვალეობების და მოსამსახურეთა რიცხოვნობის ოპტიმიზაცია | | | | სამინისტრო | შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია მოსამსახურეთა საშტატო ნუსხაში |
| 4.3 ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე რისკის ანალიზისთვის შესაბამისი ორგანოს განსაზღვრა. | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე შესაბამისი დანაყოფის ან/და პირების განსაზღვრა |
| 4.4 არალეგალურ მიგრანტთა აღმოჩენაზე, დაკავებასა და გაძევებაზე პასუხისმგებელი დანაყოფის შექმნა | 2014 | 2014 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ჩამოყალიბებულია მიგრაციის სამსახური |
| 4.5 არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსებისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა | 2014 | 2014 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | არალეგალ მიგრანტთა განთავსების ცენტრი შესულია ექსპლუატაციაში |
| 4.6 საქართველოში უცხოელთა ყოფნის სამართლებრივი საფუძვლების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | არალეგალ მიგრანტთა აღმოჩენის ელექტრონული პროგრამა სრულყოფილად ფუნქციონირებს |
| 4.7 საქართველო-თურქეთის საზღვარზე საავტომობილო სგპ „კარწახის“ განახლება | 2014 | 2015 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | ინფრასტრუქტურა მოწყობილია |
| 4.8 საქართველო-თურქეთის საზღვარზე სარკინიგზო სგპ | 2014 | 2016 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | ინფრასტრუქტურა მოწყობილია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „კარწახის“ გახსნა | | | შემოსავლების სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | | |
| 4.9 საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე საავტომობილო საბაჟო გამშვები პუქტის „ლაგოდეხის“ განახლება | 2014 | 2015 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | ინფრასტრუქტურა განახლებულია |

## სასაზღვრო კონტროლი, სახმელეთო საზღვრის დაცვა, საზღვაო და საჰაერო სივრცის კონტროლი

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| 5.1 სგპ-ების საქმიანობის ტექნოლოგიური სქემებისა და წესების შემუშავება | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროები | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | სტანდარტული სამოქმედო გეგმები შემუშავებულია |
| 5.2 სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, სახმელეთო საზღვრებზე არსებული ინფრასტრუქტურისა და | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | შემფასებელ ექსპერტთა მისიები განხორციელებულია და მათი რეკომენდაციების საფუძველზე პროექტები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტექნიკური აღჭურვილობის შეფასება და საჭიროებების იდენტიფიცირება | | | | | ინიცირებულია |
| 5.3 საჰაერო სივრცის სრული კონტროლის, ადრეული აღმოჩენისა და საჰაერო თავდაცვის განვითარების მიზნით, საჭირო საშუალებების განვითარების გრძელვადიანი გეგმების შემუშავება | 2014 | 2016 | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო/გენერალური შტაბი | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | საჰაერო სივრცის კონტროლის, ადრეული აღმოჩენის და საჰაერო თავდაცვისათვის საჭირო საშუალებების განვითარების გრძელვადიანი გეგმები შემუშავებულია |
| 5.4 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მაღალმთიან და რთულ კლიმატურ პირობებში მოსამსახურეთათვის მაღალმთიან ადგილებში სამსახურისათვის დამატებითი შეღავათების დაწესება | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | შესაბამისი სამართლებრივი აქტი შემუშავებულია |
| 5.5 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში ადმინისტრაციული თანამდებობების შემცირების ხარჯზე უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის დაცვით დაკავებულ მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდა რისკის ანალიზისა და საფრთხეების გათვალისწინებით | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | შესაბამისი საშტატო ცვლილებები განხორციელებულია |
| 5.6 ნარკოტიკული | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან | საქართველოს | კინოლოგიური |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნივთიერებების აღმოჩენის სისტემის განვითარება | | | საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | სამსახურის შესაძლებლობები გაუმჯობესებულია;<br><br>ტექნიკური საშუალებებით სრულფასოვნად აღჭურვილია |
| 5.7 ერთობლივი ოპერაციების დაგეგმვა და განხორციელება მოსაზღვრე ან/და დაინტერესებული ქვეყნების საბაჟო-სასაზღვრო სამსახურებთან ერთად, სასაზღვრო კონტროლის გაუმჯობესების თვალსაზრისით | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საზღვრის მართვაში მონაწილე სუბიექტები | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საზღვრის მართვაში მონაწილე სუბიექტები, საერთაშორისო ორგანიზაციები | ერთობლივი ოპერაციები ჩატარებულია |

## 6. სანიტარიული, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლი

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| 6.1 ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ინფრასტრუქტურის განვითარება | 2014 | 2016 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია |
| 6.2 ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნუსხის ოპტიმიზირება ევროკავშირის შესაბამისი ანალოგების გათვალისწინებით | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | ნუსხა დამტკიცებულია |
| 6.3 არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი ნორმატიული აქტი შემუშავებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სასაზღვრო კონტროლის პროცედურების დანერგვა | | | სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |
| 6.4 ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სასაზღვრო კონტროლი | 2014 | 2016 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი ნორმატიული აქტი შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |
| 6.5 სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის, ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის მარეგულირებელი ნორმების ევროკავშირის ნორმებთან ჰარმონიზაციის პროცესის გაგრძელება | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი ნორმატიული აქტი შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |
| 6.6 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების ასახვა სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი ნორმატიული აქტი შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად |

## 7. ადამიანური რესურსების განვითარება

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| კარიერული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება | | | | | |
| 7.1 სსიპ - შემოსავლების სამსახურის | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა | საქართველოს ფინანსთა | საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საჭირო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კლასიფიცირებული თანამდებობებისათვის საჭირო კომპეტენციების განსაზღვრა და მათი შედარება თანამშრომლების არსებულ ცოდნასთან. საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა | | | სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | სამინისტრო | კომპეტენციები გაწერილია და დამტკიცებულია;<br><br>განხორციელებულია შესაბამისი ტრენინგები, მათ შორის, სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელი პირებისათვის |
| 7.2 სსიპ - შემოსავლების სამსახურის თანამშრომელ-თათვის კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა-განვითარება | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები შემუშავებული და დანერგილია;<br><br>თანამშრომელთა წახალისების (მატერიალური და არამატერიალური) სისტემა შემუშავებულია და დანერგილია;<br><br>კარიერული განვითარების სისტემა შემუშავებულია |
| 7.3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთათვის კარიერული ზრდის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა/განვითარება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კარიერული განვითარების სისტემა |
| 7.4 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებისათვის თანამდებობრივი როტაციის სისტემის ჩამოყალიბება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | ჩამოყალიბებულია თანამდებობრივი როტაციის სისტემა |
| სასწავლო სისტემის ჩამოყალიბება | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7.5 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება (საკანონმდებლო და პროცედურულ სიახლეებთან გაცნობის, სამუშაო სპეციფიკის შეცვლისა და გადამზადების) სპეციალური პროფესიული სწავლების უწყვეტი ციკლის წარმართვის მიზნით | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | არსებული სასწავლო პროგრამები და სასწავლო მოდულები სრულყოფილია, ახალი სასწავლო და სპეციალური პროგრამები შემუშავებული და განხორციელებულია |
| 7.6 მესაზღვრეთა საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა/განვითარება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა გაზრდილია;<br><br>საჭიროებისამებრ ახალი თემატიკა და სასწავლო დისციპლინები დამატებულია |
| 7.7 მესაზღვრე ოფიცერთა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის ოფიცერთა მომზადება და გადამზადება დაწყებულია |
| 7.8 სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიით გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვა | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | შესაბამისი სტანდარტები დანერგილია |
| 7.9 რეგიონული ტრენინგის სისტემისა და რეგიონული ტრეინერების ინსტიტუტის ჩამოყალიბება (ადგილზე სწავლების მიზნით, განსახორციელებელი | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დონორი | ტრენერების მოძიება, მომზადება-გადამზადება, ინსტრუქტაჟი და რეგიონულ დონეებზე ტრენინგების დაგეგმვა განხორციელებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ამოცანა) | | | სამსახური | ორგანიზაციები | |
| 7.10 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | შესაბამის სასწავლო ცენტრებში განხორციელებულია კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამისი ღონისძიებები |
| 7.11 დისტანციური სწავლების სისტემის დანერგვა | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | სპეციალური სასწავლო მოდულები შემუშავებულია, ელექტრონული პროგრამა შექმნილი და დანერგილია |
| 7.12 E-HRMS-ის სისტემაში ტრენინგების მართვის მოდულის დამატება | 2015 | 2016 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური | E-HRMS - ის სისტემაში ტრენინგების მართვის მოდული დანერგილია და სსიპ - შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების მიერ გავლილი ტრენინგები და სწავლებები სრულად ასახულია მონაცემთა ბაზაში |
| 7.13 მსმენელთა ბარათის სისტემის შემუშავება (ელექტრონული პროგრამა) | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | მოსამსახურეთა მიერ გავლილი ტრენინგების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზირებულია |
| 7.14 სწავლებების შეფასების თანამედროვე სისტემების შერჩევა, შეფასება და დანერგვა | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | სწავლების შეფასების თანამედროვე და ეფექტიანი სისტემა განვითარებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 2014 | 2018 | - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | | |
| 7.15 საზღვარგარეთის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | ურთიერთგაგების და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები გაფორმებულია<br><br>განხორციელებულია მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებები |
| 7.16 შსს-ს აკადემიის ტერიტორიაზე სიმულაციური სგპ-ს აღჭურვის სრულყოფა | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | სწავლებებისათვის სრულყოფილი სიმულაცია შექმნილია<br><br>სიმულაციური სგპ რადიაციული დეტექტორებით და სკანირების აპარატურით აღჭურვილია |
| 7.17 სასწავლო პროცესისათვის (სასწავლო სპეციფიკის შესაბამისად) აუდიო-ვიზუალური მასალების მომზადება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | სასწავლო სპეციფიკის შესაბამისად სცენარები, იმიტაციები, თვალსაჩინოებები, სასწავლო ფილმები და სხვა აუდიო-ვიდეო რგოლები შემუშავებულია და დანერგილია სასწავლო პროცესში |
| 7.18 აკადემიური (უმაღლესი) განათლების დანერგვა | 2015 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | პოლიციური (სასაზღვრო) უმაღლესი განათლების პროგრამა შემუშავებულია და შესაბამისი სწავლება დაწყებულია |
| 7.19 ერთობლივი ტრანსსასაზღვრო სწავლებები და ტრენინგები საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებზე | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციები | ჩატარებულია შესაბამისი ტრენინგები/სწავლებები |

კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| 8.1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ტაქტიკური დანაყოფების (სასაზღვრო სექტორების) საბაზისო მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელის განვითარება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | სასაზღვრო სექტორებს შორის უზრუნველყოფილია დროის რეალურ რეჟიმში ინფორმაციისა და მონაცემების გაცვლა |
| 8.2 ულტრამოკლეტალღოვანი და მოკლეტალღოვანი სარეზერვო საკომუნიკაციო ქსელის განვითარება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციები | დროის რეალურ რეჟიმში უზრუნველყოფილია სასაზღვრო პატრულებთან ხმოვანი და ტექსტური მონაცემების გაცვლა;<br><br>უზრუნველყოფილია დროის რეალურ რეჟიმში სასაზღვრო პატრულების ადგილმდებარეობის ასახვა ელექტრონულ რუკებზე |
| 8.3 სასაზღვრო ოპერაციების აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზების დანერგვა სასაზღვრო პოლიციის დანაყოფებისთვის | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | უზრუნველყოფილია სასაზღვრო დანაყოფების მიერ განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვის წარმოება;<br><br>უზრუნველყოფილია სასაზღვრო დანაყოფების მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების სრულყოფილი აღრიცხვის წარმოება;<br><br>უზრუნველყოფილია ტრანსსასაზღვრო დანაშაულობათა სტატისტიკისა და ეფექტური ანალიზის წარმოება; |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უზრუნველყოფილია სასაზღვრო უსაფრთხოების რისკის ანალიზისა და საფრთხეების შეფასების წარმოება, ვითარების ცვლილებების პროგნოზირება |
| 8.4 საზღვაო სივრცის რადიოლოკაციური სისტემებისა და გლობალური სანაოსნო სისტემების განვითარება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | უზრუნველყოფილია საქართველოს საზღვაო სივრცის სრული რადიოლოკაციური და ელექტრონული კონტროლი;<br><br>უზრუნველყოფილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის საპატრულო გემებისა და კატარღების დროული რეაგირება სამართალდარღვევებზე;<br><br>არსებული რესურსები გამოყენებულია ოპტიმალურად |
| 8.5 სასაზღვრო ოპერაციების მართვის სისტემის (BOMS პროექტი) რეალიზება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | უზრუნველყოფილია სახმელეთო საზღვრის სრული ელექტრონული კონტროლი;<br><br>სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობაზე სასაზღვრო განწესების რეაგირების დრო შემცირებულია და არსებული რესურსები გამოყენებულია ოპტიმალურად;<br><br>უზრუნველყოფილია სასაზღვრო განწესების ეფექტიანი მართვა;<br><br>ძალები და საშუალებები |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | გამოყენებულია ეფექტიანად;<br><br>უზრუნველყოფილია სასაზღვრო პატრულების მიერ სამსახურის წარმოების კონტროლი On-line რეჟიმში |
| 8.6 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სუფსის ერთობლივი მართვის ცენტრის მოდერნიზება | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია | დონორი ორგანიზაციები | სუფსის ერთობლივი მართვის ცენტრი კ/გ-ის და საინფორმაციო სისტემებით უზრუნველყოფილია |

## ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| 9.1 სგპ-ის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმების ყოველწლიური განახლება | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმები ყოველწლიურად განახლებულია |
| 9.2 სგპ-ის ინფრასტრუქტურის კოორდინირებულად დაგეგმარება | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროები, დონორი ორგანიზაციები | ერთობლივი პროექტები მომზადებულია სასაზღვრო-საბაჟო მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად;<br><br>პროექტები რეალიზებულია |
| 9.3 სგპ-ის სასაზღვრო და საბაჟო კონტროლისათვის აუცილებელი სპეცაღჭურვილობის გაუმჯობესება (სტაციონარული და მობილური სკანირების | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | სასაზღვრო და საბაჟო კონტროლისათვის აუცილებელი პორტატიული და სტაციონარული სპეცაღჭურვილობა შეძენილია სგპ-ისთვის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანადგარები, მეტალოდეტექტორები, სხვა სპეციალური აღჭურვილობა) | | | | | სტაციონარული აღჭურვილობა დამონტაჟებულია |
| 9.4 სგპ-ის სპეციალური, მათ შორის, ფიტოსანიტარიული /ვეტსანიტარიული და სანიტარიული კონტროლისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | საბაჟო კონტროლისათვის საჭირო შესამოწმებელი შენობა-ნაგებობები, საწყობები, სამაცივრე ტერმინალები, ცხოველთა გასაჩერებელი ვოლიერები აშენებულია და ექსპლოატაციაში გაშვებულია;<br><br>მინი-ლაბორატორიები მოწყობილია |
| 9.5 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სექტორების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და შესაბამისი კომუნიკაციებით უზრუნველყოფა | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | ყველა სექტორზე, საჭიროებისამებრ, სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარებულია |
| 9.6 სექტორების აღჭურვა სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის კონტროლისათვის აუცილებელი სპეცაღჭურვილობით | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | ყველა სექტორის, საჭიროებისამებრ, სრული აღჭურვა |
| 9.7 სახელმწიფო საზღვარზე სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელექტროფიკაციით, წყალმომარაგებითა და გაზიფიკაციით უზრუნველყოფა | 2014 | 2018 | საქართველოს მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები | სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები | ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9.8 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურში კინოლოგიის სამსახურის შექმნა | 2014 | 2015 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და დონორი ორგანიზაციები | კინოლოგიის სამსახური დაარსებულია |
| 9.9 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სტრუქტურაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | საგამოძიებო სტრუქტურა უზრუნველყოფილია სპეციალური აღჭურვილობითა და სპეცტექნიკით |
| 9.10 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების ბათუმის ბაზირების პუნქტის ინფრასტრუქტურის განვითარება | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | მცურავი საშუალებების ბაზირების პუნქტის დისლოკაციის ადგილი გადატანილია |
| 9.11 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის გემთსარემონტო შესაძლებლობების განვითარება | 2014 | 2015 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | მოწყობილია მცურავი საშუალებების წყლიდან ამოსაღები „რამპა“ |

## რისკების ანალიზი

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| 10.1 სგპ-ს რისკების მართვის სისტემის დახვეწა და მისი განვითარების ღონისძიებების განხორციელება | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | რისკების მართვის სისტემა შემუშავებული და დანერგილია. საბაჟო მოსამსახურეები შესაბამისად მომზადებულია |
| 10.2 სახელმწიფო საზღვარზე არსებული რისკების შეფასების ერთიანი სისტემის შემუშავება | 2014 | 2017 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დონორი ორგანიზაციები | შექმნილია რისკების შეფასების სისტემა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10.3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის რეგიონულ დონეზე რისკის ანალიზის სისტემის განვითარება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | რისკის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფო საზღვარზე არსებული სიტუაციის შეფასება რეგულარულად განახლებულია; პასუხისმგებელი პერსონალი განსაზღვრულია და სათანადო ინსტრუქტაჟი განხორციელებულია |
| 10.4 რისკების შეფასება (მათ შორის, ფიტოსანიტარიულ, ვეტერინარულ და სანიტარიულ სფეროებში) და მათ საფუძველზე საბაჟო კონტროლის მინიმალური სტანდარტისა და კონტროლის ობიექტების განსაზღვრა | 2014 | 2018 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | სტანდარტები შემუშავებულია და მიღებულია. რისკის ანალიზის სისტემა დანერგილია |

## 11. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

| ღონისძიება | ვადა | | პასუხისმგებელი ორგანოები | დაფინანსების წყარო | შესრულების ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| | დაგეგმვა | შესრულება | | | |
| 11.1 სახელმწიფო საზღვარზე შექმნილ საგანგებო სიტუაციებში უწყებათშორისი თანამშრომლობის განვითარება | 2014 | 2016 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სხვა დაინტერესებული უწყებები | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სხვა დაინტერესებული უწყებები, საერთაშორისო დონორები | სამოქმედო გეგმები მომზადებული და დამტკიცებულია;<br><br>უზრუნველყოფილია ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმოების ერთობლივი წვრთნები |
| 11.2 საზოგადოების პერიოდული ინფორმირება სგპ-ზე სასაზღვრო უწყებების ფუნქციონირების შესახებ. | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | უზრუნველყოფილია რეგულარული საინფორმაციო კამპანიის წარმოება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11.3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ძებნა-გადარჩენის ოპერაციების წარმოების შესაძლებლობათა გაუმჯობესება | 2014 | 2018 | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | ძებნა- გადარჩენის ოპერაციების წარმოებისთვის საზღვრისპირა დანაყოფები შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფილია;<br><br>განხორციელებულია სპეციფიური სწავლებები. |